

(სსმ 01.07.2008 N 93 მუხ.1031)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
430.210.000.22.022.011.958

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება N 570
2008 წლის 24 ივნისი ქ. თბილისი**

**სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის
დამტკიცების თაობაზე**

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 27-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N 37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტი.
2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. ნოდია

სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტი

მუხლი 1. სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის რეგულირების სფერო
სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტი განსაზღვრავს სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელ მოთხოვნებსა და შექმნის წესს. სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტში მოყვანილი მოთხოვნებისა და წესის შესრულება სავალდებულოა სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებისათვის.

მუხლი 2. სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის მოქმედების ანალიზი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) აკეთებს სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის მოქმედების ანალიზს სტანდარტის დანერგვიდან მინიმუმ 2 წელიწადში ერთხელ.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

ა) მოდული – სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შედგება მონათესავე თემების ან საგნებისაგან, ან მხოლოდ ერთი საგნისაგან. მასში ასახულია სწავლების შედეგად მისაღწევი კომპეტენცია და შეფასების კრიტერიუმები;

ბ) სილაბუსი – მოდულის/საგანმანათლებლო კურსის სწავლების გეგმა, რომელშიც მოცემულია მოდულის/საგანმანათლებლო კურსის მიზანი, მისაღწევი შედეგი, შინაარსი, მეთოდური უზრუნველყოფა და შეფასების ინდიკატორები;

გ) უნარ ჩვევები – უნარები, რომელიც ძირითადად ნასწავლია და წვრთნის შედეგად, სწავლის პროცესშია განვითარებული;

დ) საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) – განსაზღვრული კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც განსაზღვრულია მიზნები, სწავლის შედეგები, სტუდენტის დატვირთვა, სწავლებისა და სწავლის მეთოდები და შეფასების ფორმები, ასევე სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;

ე) თემა –საგანმანათლებლო კურსის შინაარსის შემადგენელი ნაწილი.

მუხლი 4. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის წესი

1. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც მოიცავს პროფესიულ სტანდარტში მოყვანილი ცოდნის მიღებისა და უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის აუცილებელ საგანმანათლებლო კურსებს, მათ შინაარსს და განაწილებას დროში. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა არის კონკრეტული პროფესიისათვის მომზადების სტანდარტული კურიკულუმი.

2. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია როგორც პროფესიული სტანდარტი, ისე სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტი. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა იქმნება პროფესიული სტანდარტის შესრულების მიზნით. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსს განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული სტანდარტი.

3. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის პროცესში ჩართულები უნდა იყვნენ დამსაქმებლები, კონკრეტულ პროფესიულ სფეროში მოღვაწე დაინტერესებული იურიდიული პირები და ექსპერტები.

4. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის დამტკიცების ინიციატორი შესაძლებელია აგრეთვე იყოს სხვა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტთან პროექტის შესაბამისობის თაობაზე ცენტრის მიერ გაცემული სათანადო დასკვნის საფუძველზე, პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს.

მუხლი 5. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების წესი

1. ცენტრის მიერ შედგენილ სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამას, ცენტრის წარდგინებით, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი (შემდგომში – მინისტრი).

2. სხვა ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ შემუშავებულ სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამას, ცენტრის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირის წარდგინებით, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს მინისტრი.

მუხლი 6. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასების წესი

1. ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ ცენტრისათვის წარდგენილი სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასება გულისხმობს მისი შესაბამისობის დადგენას სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტთან.

2. ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ ცენტრისათვის წარდგენილი სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასების პროცედურა უნდა იყოს სტანდარტული და გამჭვირვალე. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასების პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ დამსაქმებლები, კონკრეტულ პროფესიულ სფეროში მოღვაწე იურიდიული პირები და ექსპერტები.

3. ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება როგორც სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასების ინდიკატორები, ასევე შეფასების პროცედურა. შეფასების პროცედურაში დეტალურად უნდა იყოს მითითებული, თუ ვინ მიიღებს შეფასების პროცედურაში მონაწილეობას, რა პრინციპით და რა წესით მოხდება პროგრამის შეფასებისას გადაწყვეტილების მიღება.

4. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასების შედეგად ცენტრის მიერ გაიცემა დასკვნა – შეფასების ანგარიში. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ დასამტკიცებლად ეგზავნება სამინისტროს.

მუხლი 7. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ორიენტირები

სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ორიენტირები უნდა იყოს:

ა) სწავლების მაღალი ხარისხი – სახელობო განათლებამ, მიღებული ცოდნითა და კვალიფიკაციით, კურსდამთავრებული კონკურენტუნარიანი უნდა გახადოს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე;

ბ) ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობა – სახელობო განათლების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და ინტეგრაცია.

გ) შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა – სახელობო განათლება უნდა ასახავდეს როგორც შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ისე მის შესაბამის საჭირო ცვლილებებს;

დ) ხელმისაწვდომობა – სახელობო განათლებამ უნდა დააკმაყოფილოს თითოეული ადამიანის, მათ შორის, საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირების საგანმანათლებლო მოთხოვნები;

ე) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის განვითარება – სახელობო განათლებამ, განათლების სხვა საფეხურებთან კავშირით, ხელი უნდა შეუწყოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების სისტემის განვითარებას;

ვ) სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის ხელშეწყობა რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე – სახელობო განათლების დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების პროცესში საგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფესიულმა ასოციაციებმა, დამსაქმებლებმა და მათმა გაერთიანებებმა.

მუხლი 8. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მოთხოვნები

სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

ა) სწავლების ორიენტაცია შედეგებზე;

ბ) სწავლების მოდულარული სტრუქტურა (ე.ი. მოდულებად დაყოფა);

გ) სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის გაანგარიშება კრედიტებსა და საათებში

დ) სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ორიენტაცია პრაქტიკაზე - სწავლება საწარმოში ან საწარმოსთან მიახლოებულ გარემოში;

ე) მრავალკომპონენტური შეფასება, შეფასების ორიენტაცია ცოდნის დემონსტრირებაზე.

მუხლი 9. სწავლების ორიენტაცია შედეგებზე

1. სახელობო განათლება ორიენტირებული უნდა იყოს სწავლების პროცესში მიღწეულ შედეგებსა და ამ შედეგის დემონსტრირების უნარზე. სწავლების შედეგი არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს პროფესიულ სტუდენტს სწავლის დასრულების შემდეგ. სახელობო განათლებამ უნდა უზრუნველყოს კურსდამთავრებული იმ ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რომელსაც შრომის ბაზარი კონკრეტული პროფესიის ფარგლებში მოითხოვს. სწავლების შედეგი უნდა იყოს რეალური და შეფასებადი.

2. სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული უნდა იყოს სწავლების შედეგი:

ა) ცოდნა – ნიშნავს პროფესიული სტუდენტის მიერ ინფორმაციის, ფაქტების ცოდნასა და გაცნობიერებას;

ბ) პროფესიული უნარ-ჩვევები – გულისხმობს პროფესიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარს, რომელსაც მივყავართ სასურველ შედეგამდე;

გ) ზოგადი/ტრანსფერული უნარები – იგულისხმება უნარები, რომელიც საერთოა სხვადასხვა პროფესიისათვის და რომელთა გადატანა შესაძლებელია ნასწავლი სფეროდან ახალ, უცნობ სფეროში. ზოგადი/ტრანსფერული უნარების გამომუშავება შესაძლებელია ხდებოდეს დამოუკიდებელი, ამა თუ იმ საგნის საშუალებით ან სხვა საგნების სწავლებასთან ერთად. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების გავლის შედეგად უნდა ხდებოდეს ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც პროფესიულ ცოდნასთან ერთად ექნებათ საზოგადოებაში ინტეგრაციისა და დასაქმებისათვის საჭირო შემდეგი ძირითადი უნარები:

გ.ა) კომუნიკაციური (მშობლიური და უცხო ენა);

გ.ბ) შემეცნებითი (ანალიზი, სინთეზი, პრობლემის გადაჭრა);

გ.გ) საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების;

გ.დ) ჯგუფური მუშაობის;

გ.ე) კონკრეტულ გარემოსა და სიტუაციასთან ადაპტირების;

გ.ვ) ტექნოლოგიური მონაცემების მართვისა და გამოყენების;

გ.ზ) დროითი და მატერიალური რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატური გამოყენების.

მუხლი 10. სწავლების მოდულარული სტრუქტურა

1. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა იყოს მოდულარული ანუ შედგებოდეს მოდულებისაგან. მოდული არის სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შედგება

მონათესავე თემების ან საგნებისაგან, ან საგნების ნაწილისაგან, ან მხოლოდ ერთი საგნისაგან. მოდული არის კვალიფიკაციის უმცირესი ნაწილი, რომელიც შესაძლებელია სხვა მოდულებისგან გამოიყოს, შემონმდეს და შეფასდეს. მოდულის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული იძენს კონკრეტულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

2. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ზოგადი, საბაზისო და არჩევითი მოდულებისაგან. ზოგადი და საბაზისო მოდულები სავალდებულოა.

ა) ზოგადი მოდული – იმ ცოდნისა და შესაძლებლობების ერთიანობა, რომელიც სხვადასხვა სპეციალობისათვის არის საერთო. ზოგადი მოდულებიდან სამენარმეო საქმიანობის საფუძვლები სავალდებულოა ყველა სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამისათვის და მისი მოცულობა დამოკიდებულია კონკრეტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაზე.

ბ) საბაზისო მოდული – მოიცავს შინაარსს, რომელიც კონკრეტული პროფესიის ათვისებისათვის არის საჭირო.

გ) არჩევითი მოდული – მოიცავს დამატებით ცოდნასა და უნარებს, რომელიც არჩეული მიმართულებით ცოდნის გაღრმავების საშუალებას იძლევა – სპეციალიზაცია. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია პროგრამაში შემოიტანოს დამატებითი არჩევითი მოდული/საგანმანათლებლო კურსი.

3. მოდულის ხანგრძლივობა იზომება კვირებში ან სემესტრებში, ხოლო მოცულობა კრედიტებსა და საათებში.

4. ზოგადი და საბაზისო მოდულები პროგრამის 60-70%-ს ან მეტს უნდა შეადგენდეს.

მუხლი 11. სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის გაანგარიშება კრედიტებსა და საათებში

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშება სავალდებულო არ არის. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება თავად იღებს გადაწყვეტილებას პროგრამის კრედიტებით ან საათებით გაანგარიშების თაობაზე.

მუხლი 12. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ორიენტაცია პრაქტიკაზე - სწავლება სწარმოში ან სწარმოსთან მიახლოებულ გარემოში

1. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას. სახელობო სწავლების ძირითადი ნაწილი უნდა ხორციელდებოდეს სწარმოში ან სწარმოსთან მიახლოებულ გარემოში. პრაქტიკის საერთო წილი (სასწავლო ან/და სწარმოო) სასწავლო დატვირთვის 60% მაინც უნდა შეადგენდეს.

2. პრაქტიკაში შედის სასწავლო პრაქტიკა და სწარმოო პრაქტიკა.

ა) სასწავლო პრაქტიკა გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის პრაქტიკულ საქმიანობას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან მის ფარგლებს გარეთ;

ბ) საწარმოო პრაქტიკის მიზანია პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება პრაქტიკის ადგილზე, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ.

3. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება (როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული) უნდა იყოს სტუდენტზე ორიენტირებული, პრაქტიკული და ექსპერიმენტული. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებას სასურველია უნარშემდგომი სტუდენტებისათვის შეიქმნას მოქნილი, ინდივიდუალური სახელობო პროგრამები.

4. სწავლების მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია სწავლების მიზანსა და მისაღწევ შედეგზე. სწავლების მეთოდმა უნდა უზრუნველყოს როგორც კონკრეტული მოდულის/საგანმანათლებლო კურსის მიზანთან შესაბამისობა, ისე სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასურველი შედეგის მიღწევა.

5. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეიცავდეს შესაბამის მოდულს/საგანმანათლებლო კურსს, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს გააცნობს თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ტენდენციებს, საკუთარი ბიზნესის დაგეგმვის, გაძღოლისა და სამენარმეო საქმიანობის პრინციპებს.

მუხლი 13. მრავალკომპონენტიანი შეფასება, ორიენტაცია ცოდნის დემონსტრირებაზე

1. შეფასებაში უნდა აისახოს რამდენად ეუფლება პროფესიული სტუდენტი მოდულში/საგანმანათლებლო კურსში განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. შეფასებისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რისი შეფასება ხდება (ცოდნა, პრაქტიკული უნარები და ა.შ) და რა მეთოდის გამოყენებით (დაკვირვება, ტესტი, რაიმის შესრულება და ა.შ).

2. პროფესიული სტუდენტის ცოდნა და უნარები ფასდება როგორც სწავლების პროცესში, ისე მისი დასრულებისას, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს მოახდინოს ცოდნის დემონსტრირება სასწავლო პროცესის განმავლობაში სხვადასხვა ფორმით და გზით.

3. კონკრეტული მოდულის/საგანმანათლებლო კურსის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესზე დასწრებას, სალექციო აქტივობებს, ცოდნის დემონსტრირების უნარს თეორიული და პრაქტიკული სწავლებისას. შეფასების ფორმა დამოკიდებულია სწავლების მიზანსა და მისაღწევ შედეგზე.

4. მისაღებია შეფასების ორი ტიპის გამოყენება:

ა) განმსაზღვრელი – როდესაც მასწავლებელი/ინსტრუქტორი მხოლოდ ნიშნის დაწერით შემოიფარგლება, ანუ შეფასება განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის მიღწევის დონეს;

ბ) განმავითარებელი – როდესაც მასწავლებელი/ინსტრუქტორი პროფესიულ სტუდენტს ნიშნის დაწერის გარდა მიღწევის დონის შეფასებაშიც ეხმარება. განმავითარებელი შეფასების ტიპური ფორმაა კომენტარები, რომელიც აღწერს ნამუშევრის როგორც ძლიერ და სუსტ მხარეებს, ისე მიღწევის გაუმჯობესების თაობაზე საჭირო რეკომენდაციებს და რომელიც სემესტრის ან რომელიმე დავალების შესრულების შემდეგ იწერება.

5. მნიშვნელოვანია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მუდმივად გამოყენება სწავლის პროცესში. რეკომენდირებულია, რომ განმავითარებელი შეფასების წილი სასწავლო პროცესისას უფრო მეტი იყოს, ვიდრე განმსაზღვრელის.

მუხლი 14. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა აგებული უნდა იყოს სტანდარტის მე-8 მუხლში განსაზღვრული ძირითადი მოთხოვნების მიხედვით და შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. სატიტულო წარწერა:

ა) სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება;

ბ) სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ავტორი (ფიზიკური ან/და იურიდიული პირი);

გ) სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების თარიღი;

2. პროფესიული და სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტი;

3. სპეციალობა/სპეციალობები;

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – კვალიფიკაციის დონე;

5. სწავლების ხანგრძლივობა;

6. სწავლების მოცულობა;

7. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;

8. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და ამოცანები;

9. სწავლების შედეგი;

10. დასაქმების სფერო;

11. სასწავლო გეგმა

ა) მოდულის/საგანმანათლებლო კურსის გეგმა;

ბ) პრაქტიკის გეგმა;

12. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსები

13. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

14. საკვალიფიკაციო გამოცდის მოთხოვნები.

მუხლი 15. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები

1. სატიტულო წარწერა – სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის სატიტულო წარწერაში შედის პროგრამის სახელწოდება, პროგრამის ავტორი (ფიზიკური ან/და იურიდიული პირი) და პროგრამის შემუშავების თარიღი.

2. პროფესიული და სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტი – სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული უნდა იყოს პროფესიული სტანდარტი, რომლის საფუძველზედაც შედგენილია პროგრამა. საჭიროა მითითებული იყოს პროფესიული სტანდარტის სახელწოდება, პროფესიული სტანდარტის დამამტკიცებელი ორგანიზაცია და პროფესიული სტანდარტის მიღების თარიღი; ამასთანავე, რომელი წლის სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზეა პროგრამა შედგენილი.

3. სპეციალობა (სპეციალობები) – სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამაში შედის ყველა იმ სპეციალობის ჩამონათვალი, რომელსაც სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა აერთიანებს.

4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია–კვალიფიკაციის დონე – სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამაში შედის კვალიფიკაცია და კვალიფიკაციის დონე, რომელსაც საგანმანათლებლო კურსის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული იღებს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს სწავლების შინაარსს და მისაღწევ შედეგს. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა დგება კვალიფიკაციის დონეების მიხედვით. ერთი დონიდან მეორეზე გადასვლა შეიძლება ხდებოდეს მოდულების/საგანმანათლებლო კურსების, კომპეტენციების დამატებით და ა.შ. კვალიფიკაციის დონეებს შორის განსხვავება ასახული უნდა იყოს სწავლების შედეგებში.

5. სწავლების ხანგრძლივობა – სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს. კონკრეტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლების ხანგრძლივობა დამოკიდებულია პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ საკვალიფიკაციო დონესა და პროფესიის სირთულეზე. ცალკეული სპეციალობებისათვის ერთი და იმავე სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო განათლების მქონეთათვის შეიძლება განსხვავებული იყოს.

6.სწავლების მოცულობა – სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამაში შედის სასწავლო პროგრამის მოცულობა კრედიტებში და საათებში.

7.სახელობო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა – სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული უნდა იყოს თუ აქვს კონკრეტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამას რაიმე შეზღუდვა.

8. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და ამოცანები – პროგრამის მიზანში იგულისხმება, თუ რა კონკრეტულ სპეციალობაში ამზადებს პროგრამა პროფესიულ სტუდენტს, ხოლო ამოცანებში – კონკრეტული პროფესიისათვის საჭირო რა ცოდნასა და უნარ-ჩვევების განვითარებას ისახავს პროგრამა მიზნად.

9. სწავლების შედეგი – სწავლების შედეგი არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს პროფესიულ სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლების შედეგში გამოყოფილი უნდა იყოს პროგრამის დასრულების შემდეგ რა ცოდნას, პროფესიულ უნარ-ჩვევებს და ზოგად/ტრანსფერულ უნარებს უნდა ფლობდეს კურსდამთავრებული.

10.დასაქმების სფერო – სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული უნდა იყოს სერტიფიცირებული სპეციალისტის დასაქმების შესაძლო სფერო მიღებული კვალიფიკაციის მიხედვით.

11.სასწავლო გეგმა – რომელშიც შედის სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული მოდულები/საგანმანათლებლო კურსები, მათი განაწილება დროში, მოცულობა, გამოცდასა და პრაქტიკაზე დახარჯული დრო და მოცულობა. სასწავლო გეგმა შედგება ორი ტიპის გეგმისაგან:

ა) მოდულის/საგანმანათლებლო კურსის გეგმა – სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს პროგრამაში ჩართული მოდულების/საგანმანათლებლო კურსების გეგმა: მოდულის სახელწოდება, მოცულობა, მოდულის სტატუსი (ზოგადი, საბაზისი ან არჩევითი), მოდულის გავლის წინაპირობა, მოდულის მიზანი, მისაღწევი შედეგი, შინაარსი_ძირითადი სასწავლო თემები, სწავლების რეკომენდირებული ფორმა, მოდულის/საგანმანათლებლო კურსის შეფასება.

ა.ა) მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს მოდულის მიზანი და შედეგი - ცოდნისა და უნარ-ჩვევების ნაკრები, რომელიც სტუდენტმა მოდულის გავლის შემდეგ უნდა განავითაროს. მოდულის შედეგი უნდა იყოს რეალური, კონკრეტული და შეფასებადი. მოდულის შინაარსში იგულისხმობა მოდულის ძირითადი თემები და საკითხები. მოდულის შეფასებაში მოცემულია თუ რა ცოდნის და უნარ-ჩვევების შეფასება უნდა მოხდეს მოდულის გავლის შემდეგ. ყოველი მოდული ფასდება ცალ-ცალკე როგორც ერთი მთლიანი.

ა.ბ) მოდულის/საგანმანათლებლო კურსის დეტალური შინაარსი, კვირეული დატვირთვა, მასწავლებლის/ინსტრუქტორის შესახებ ინფორმაცია და შეფასების

კომპონენტების ზუსტი წილი ასახული უნდა იყოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მომზადებულ სილაბუსში. სილაბუსში ასევე უნდა აისახოს, თუ რა არის ის მინიმალური ბარიერი, რომლის დაძლევაც მოეთხოვება სტუდენტს იმისათვის, რომ კონკრეტული მოდულის/საგანმანათლებლო კურსის შესრულება დამაკმაყოფილებლად ჩაეთვალოს. სილაბუსში ასახული უნდა იყოს: შეფასების ინდიკატორები, შეფასების მეთოდი, შეფასების ვადები, რომლებიც უნდა იყოს რეალური და შეესაბამებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნებს.

ბ) პრაქტიკის გეგმა – სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამასთან ახლავს პრაქტიკის გეგმა, რომელიც (სასწავლო და სანარმოო პრაქტიკა) პროგრამის 60% მაინც უნდა შეადგენდეს. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება თავად განსაზღვრავს სასწავლო და სანარმოო პრაქტიკას შორის თანაფარდობას. სასურველია სანარმოო პრაქტიკა 25% მაინც შეადგენდეს. სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამაში შედის:

ბ.ა) კონკრეტული პროფესიის ათვისებისათვის საჭირო სანარმოო პრაქტიკის მოცულობა;

ბ.ბ) პრაქტიკის ხანგრძლივობა (კვირა; სემესტრი);

ბ.გ) პრაქტიკის მიზანი;

ბ.დ) პრაქტიკის შედეგი (მოსალოდნელი ცოდნა და უნარ-ჩვევები);

ბ.ე) პრაქტიკის შინაარსი – ძირითადი თემები;

ბ.ვ) შეფასების ინდიკატორები-მუშაობის ხერხების დაუფლება, დადგენილი დროისა და გამომუშავების ნორმების შესრულება, შრომის უსაფრთხოების დაცვა და ა.შ.

12. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსები – რომელშიც შედის სახელობო განათლების მასწავლებელი და ინსტრუქტორი.

13. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – რომელშიც შედის კონკრეტული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რეკომენდირებული კაბინეტების, ლაბორატორიებისა და სახელოსნოების ნუსხა.

14. საკვალიფიკაციო გამოცდის მოთხოვნები – სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება საკვალიფიკაციო გამოცდის აღწერით, რომლის მიზანია განსაზღვროს კურსდამთავრებულის თეორიული და პრაქტიკული მომზადების დონე მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის. საკვალიფიკაციო გამოცდა ორიენტირებული უნდა იყოს ცოდნისა და უნარ-ჩვევების დემონსტრირებასა და შეფასებაზე. სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული უნდა იყოს:

ა) საკვალიფიკაციო გამოცდისათვის მომზადებისა და კონსულტაციებისათვის საჭირო მიახლოებითი ღირს;

ბ) საკვალიფიკაციო გამოცდის რეკომენდირებული ტიპი;

გ) საკვალიფიკაციო გამოცდის ძირითადი მოთხოვნები და შესრულების პირობები.

დ) ინდიკატორები რის საფუძველზე მოხდება სტუდენტის შეფასება. შეფასება უნდა ასახავდეს ინდიკატორის შესრულების ხარისხსა და ოდენობას.